

ოლიმპიადის მშობლიურ ენაში

I ტური

მე-4 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები. (10 ქულა)

1. რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში:

„დარდიანი ბაბაღე ფეხს ძლივს მიითრევდა.“

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

2. რამდენი სულიერი არსებითი სახელია წინადადებაში:

„ბიჭი და ხარი დამეგობრდნენ.“

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

3. რამდენი საკუთარი სახელია წინადადებაში:

„ბექა თავის მეგობრებს - ნინოს, ანას და ლიზას გაჰყვა ტყეში.“

ა) ორი

ბ) სამი

გ) ოთხი

4. რამდენი უსულო არსებითი სახელია წინადადებაში:

„შორიდან მოჩანდა კედელი, რომელიც ბავშვებმა გააფერადეს.“

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

5. ტექსტში რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა რა?

„ადამიანები მოძრავ იალქნებს ამზადებდნენ და ოკეანებს ლახავდნენ.“

ა) ორ სიტყვას

ბ) სამ სიტყვას

გ) ოთხ სიტყვას

II სავარჯიშო: ნაცვალსახელები. (10 ქულა)

6. რომელია პირველი პირის ნაცვალსახელები?

ა) მე და ჩვენ

ბ) შენ და თქვენ

გ) ის და ისინი

7. რომელ წინადადებაშია მეორე პირის ნაცვალსახელი?

ა) თქვენ ძალიან ბევრს საუბრობთ.

ბ) ჩვენ ბევრს ვერთობით.

გ) ისინი კარგად სწავლობენ

8. რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?

ა) ამ სიხარულმა ცაში ამაფრინა.

ბ) ის ბევრს მეცადინეობს გამოცდისთვის.

გ) ისინი თავისი ტკბილი ქართულით ესაუბრებოდნენ ყველას.

9. ჩასვი ტექსტში შესაბამისი პირის ნაცვალსახელები.

„ზამთრის ოლიმპიადაზე ჩვენი სკოლიდან ბევრმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ნარმატებით მიიწვედნენ წინ და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. ასახელეს სკოლა და ქალაქიც.“

ა) მათ, ჩვენ

ბ) ისინი, თქვენ

გ) ისინი, მათ

10. ჩასვი ნაცვალსახელი სწორი ფორმით.

„ჩვენ ვარემონტებთ საკლასო ოთახს, თქვენც გაარემონტეთ კაბინეტი.“

ა) ჩვენს, თქვენი

ბ) შენ, მათს

გ) მათი, შენს

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებებს!

III სავარჯიშო: მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. (20 ქულა)

11. რომელია ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვა?

„გედის მშვენიერი ბუმბული იპყრობდა ყველას ყურადღებას.“

ა) ლამაზი

ბ) გემრიელი

გ) ლურჯი

